ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ- GE0-H-NCDC-6.5/SR-07/7

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ **"ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"** (შემდგომში **"მიმღები"**), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ კახა კვაშილავას სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ კავშირი **"იმედი"** (შემდგომში **"შემსრულებელი"**), მისი ხელმძღვანელის ზორია წურწუმიას სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპ **"ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"** წარმოადგენს სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების (№GEO-H-NCDC/SR-6.5) საფუძველზე შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" პროგრამის (შემდგომში პროგრამა), ,,ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის აივ პრევენციული სერვისების მოწოდება პროექტის" (შემდგომში პროექტი) განმახორციელებელს. წინამდებარე ხელშეკრულებით ა(ა)იპ **"ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი" პროგრამით გათვალისწინებული ჯანდაცვითი მომსახურების განხორციელების** (85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები) **მიზნით შეისყიდის** ა(ა)იპ კავშირი **"იმედის"** მომსახურებას.

ხელშეკრულების ღირებულება

მხარეები დებენ ხელშეკრულებას მასზედ, რომ შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს მომსახურება მიმღებს – ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების ჩართვა აივ/შიდსის პრევენციის და ზიანის შემცირების პროგრამაში ქ.თბილისში, სსიპ „ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრითან" შეთანხმებული ბიუჯეტის საფუძველზე შემდეგ თანხაზე **212,988** (ორას თორმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა რვა) **ლარი**, (შემდგომში — ,,ხელშეკრულების ღირებულება").

ხელშეკრულების ზოგადი დებულებები:

1. წინამდებარე ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები, რომლებიც ითვლება მის განუყოფელ ნაწილად, ერთად ქმნის მოცემულ ხელშეკრულებას.
2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მათ შორის, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობებს.
3. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. მიმღები იღებს ვალდებულებას, პროექტის ფარგლებში თანხების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, დააფინანსოს შემსრულებელი შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტით

/კ. კვაშილავა/ /ზ. წურწუმია/

გათვალისწინებული შესაბამისი ხარჯებით და სარგებლობის უფლებით გადასცეს პროექტის განსახორციელებლად საჭირო აქტივები და სახარჯი მასალები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

" მიმღები"

ა(ა)იპ - "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"

მისამართი:
იურიდიული: ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ, კორპუსი 7, ბინა 28
ფაქტიური: ქ. თბილისი, შარტავას ქ. 24, სართული 3, ბინა 6

სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ – BAGAGE22
ა/ა - GE19BG0000000270558300

ს/კ - 205176780

_____
კახა კვაშილავა
აღმასრულებელი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

"შემსრულებელი"

ა(ა)იპ კავშირი „იმედი"

მისამართი:
იურიდიული: ქ. ბათუმი, 600, გორგასლის ქ. 42
ფაქტიური: ქ.ბათუმი, გორგილაძის №66, ბ №51

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "საქართველოს ბანკის" ბათუმის ფილიალი
საბანკო კოდი (მფო) BAGAGE22
საბანკო ანგარიშის ნომერი GE96BG0000000 129435300
საიდენტიფიკაციო კოდი - 245444032

_____
ზორრა წურწუმია
ორგანიზაციის ხელმძღვანელი

/კ. კვაშილავა/ /ზ. წურწუმია/

ხელშეკრულების პირობები

11. მხარეთა ვალდებულებები

1.1. შემსრულებელი ვალდებულია:

1.1.1 განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად და გეგმა-გრაფიკის (დანართი №8) შესაბამისად;

1.1.2 ფლობდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორებისთვის ცალკე საბანკო ანგარიშს კომერციულ ბანკში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო საბანკო სტანდარტებს და მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს;

1.1.3 აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა (ჩანაწერები, დოკუმენტები და სხვა), რომელშიც დეტალურად ასახულ იქნება პროგრამასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა დანახარჯი და შემოსავალი. პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს შემსრულებელთან, ბოლო გადახდის თარიღიდან სულ მცირე შვიდი წლის განმავლობაში, ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება ნებისმიერი პრეტენზიის ან აუდიტის შედეგად გამოვლენილი შედეგების გამოსასწორებლად, ან თუ ამას მოითხოვს გლობალური ფონდი ან მიმღები;

1.1.4 უზრუნველყოს პროგრამის მიზნებისთვის მიმღებისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებული (ხელშეკრულების დანართი N4); საქონლის (ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, ფარმაცევტული პროდუქტები, სახარჯი მასალა და სხვა) დაცვა/უსაფრთხოება, გასწიოს მათი მოვლისთვის/ექსპლუატაციისთვის საჭირო გონივრული ხარჯები და უზრუნველყოს აქტივების საექსპლუატაციო პირობების სრული დაცვა, იქონიოს ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული ყველა სახარჯი მასალის ხარჯვის ჩანაწერები.

1.1.5 არაადეკვატური ექსპლუატაციით და/ან დაკარგვით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, აუნაზღაუროს მიმღებს მიყენებული მატერიალური ზარალი;

1.1.6 გამოიყენოს აქტივები მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;

1.1.7 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული საქონლის ეფექტური და უსაფრთხო ლოჯისტიკა მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე;

1.1.8 დროულად აცნობოს მიმღებს ნებისმიერი ნაკლი ან/და ხარვეზი, რომელიც გამომჟღავნდება აქტივების ადეკვატური ექსპლუატაციის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი შეგნებულად არ უმხელს მიმღებს აქტივების შეძენილ ნაკლს ან/და ხარვეზს, მაშინ შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მიმღებს მიყენებული ზარალი;

1.1.9 პასუხისმგებელია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული ნებისმიერი საქონლის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე. დაკარგვის ან დაზიანებისთანავე შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი საქონელის შეცვლა საკუთარი ხარჯით;

1.1.10 არ გადასცეს აქტივები მესამე პირს, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

1.1.11 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, ასევე მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში, უპირობოდ დაუბრუნოს მიმღებს დროებით სარგებლობაში

/ვ. კვაშილავა/ /ზ. წურწუმია/

გადაცემული აქტივები და გაუხარჯავი სახარჯი მასალა. აქტივები უნდა დააბრუნოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რაზედაც უნდა გაფორმდეს აქტივების დაბრუნების მიღება-ჩაბარების აქტი;

1.1.12 ამ პუნქტის 1.1.12. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ქონების დაბრუნება (ტრანსპორტირება და თანმდევი ხარჯები) განხორციელდება ქონების მესაკუთრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

1.1.13 მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში.

1.1.14 შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/operational განთავსებული) „ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის" (დანართი N10)

1.1.15 შემსრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს და დაიცვას გლობალური ფონდის გრანტების შესახებ მარეგულირებელი ნორმები (2014), რომელიც თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი N 9).

1.1.16 შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ გლობალური ფონდის, მათ შორის გენერალური ინსპექტორატის წარმომადგენლებს და გლობალური ფონდის მიერ უფლებამოსილ მესამე მხარეს მისცენ შეუზღუდავი წვდომის უფლება შემდეგზე: (ა) წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუღალტრო წიგნები, ჩანაწერები, დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი (ფინანსური და პროგრამული), რომელსაც შემსრულებელი აწარმოებს პროგრამასთან დაკავშირებით; (ბ) შემსრულებლის შენობა-ნაგებობები, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები ინახება და/ან პროგრამული ღონისძიებები ხორციელდება ან ხორციელდებოდა; (გ) შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ დადებული ხელშეკრულება შეიცავდეს ამ პუნქტში განსაზღვრულ შეუზღუდავი წვდომის უფლებას. შეუზღუდავი წვდომის უფლების დარღვევა განიხილება ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

1.1.17 უზრუნველყოს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ აქციებში და ღონისძიებებში თანამშრომელთა და ბენეფიციართა მონაწილეობა.

1.1.18 უზრუნველყოს ორგანიზაციიდან აუთრიჩზე გასული სახარჯი მასალების მიზნობრივ ხარჯვაზე რუტინული მეთვალყურეობა და კონტროლი.

1.1.19 პროექტის ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების შეხვედრა პროექტის ადმინისტრაციასთან, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ხელმძღვანელი/კოორდინატორი ვალდებულია თანამშრომლებს ჩაუტაროს მიზნობრივი სწავლება და უზრუნველყოს მიწოდებული სერვისის მაღალი ხარისხი.

1.1.20 ხელმძღვანელი/კოორდინატორი ვალდებულია პროექტში არ დაასაქმოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის ნასამართლევ პირი.

/კ. კვაშილავა/

/ზ. წურწუმია/

1.1.21 შემსრულებელი ვალდებულია მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებული პირის საბანკო ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი.

მიმღები ვალდებულია:

1.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყოს ადეკვატური და დროული ანგარიშსწორება.

1.2.2. უზრუნველყოს შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივებით (დანართი N4);

1.2.3. უზრუნველყოს შემსრულებლის ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.ამავე დროს მიმღები არ არის ვალდებული წარუდგინოს შემსრულებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

2. <u>ხელშეკრულების</u> შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს მიმღების მიერ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი/უფლებამოსილი პირი.

2.2 ინსპექტირება:

ა) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმღები განახორციელებს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას

ბ) ინსპექტირება განხორციელდება ყოველთვიურად, შემსრულებლის მიერ მიმღებისათვის წარდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიშების/დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე;

გ) მიმღები უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება გეგმა-გრაფიკის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულების პირობებთან;

2.3 მონიტორინგი:

ა) კვარტალში ერთხელ, პროგრამულ/ფინანსური ნაწილის მონიტორინგი ხორციელდება ადგილზე ვიზიტის საფუძველზე;

ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფი ვალდებულია წერილობით დააფიქსიროს და აცნობოს შემსრულებელს მონიტორინგის შედეგები;

გ) შემსრულებელი ვალდებულია უმოკლეს ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, მათი არსებობის შემთხვევაში;

2.4 მიმღებს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3. მომსახურების განხორციელების პირობები (გეგმა-გრაფიკი)

3.1 პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება **2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**, შეთანხმებული საორიენტაციო გეგმა-გრაფიკის (დანართი №8) და

/ვ. კვაშილავა/ /ზ. წურწუმია/

ტექნიკური დავალების (დანართი N7) შესაბამისად. დანართი N8 წარმოადგენს საორიენტაციო გეგმა-გრაფიკს, აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს.

3.2 პროექტული ინდიკატორების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტული სააღრიცხვო ფორმების წარმოების მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად (დანართი N12).

3.3 აუცილებლობლობის შემთხვევაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ გეგმა-გრაფიკის შესრულების საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4. დაზღვევა

4.1 მიმღები უზრუნველყოფს შემსრულებლისთვის ავტომანქანის დაზღვევას, დანარჩენ დროებით სარგებლობაში გადაცემულ აქტივებზე დაზღვევის არ არსებობის შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს.

5. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსრულები მიმღებს დადგენილი ფორმით (დანართი N1 ა და ბ, დანართი N2), მომდევნო თვის 4 (ოთხი) რიცხვამდე წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (პროგრამის შედეგების შესახებ ზუსტი ანგარიშები), რომელსაც თან უნდა ახლდეს ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის ასლი. ანგარიში მიმღებს წარედგინება როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე;
5.2 შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება ამ მუხლის 5.1 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშისა და წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობის დადასტურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N3) გაფორმებით;

5.3 მიმღები უფლებამოსილია შეცვალოს ინფორმაციის წარმოდგენისა და ანგარიშგების ფორმები, რის შესახებაც 15 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს შემსრულებელს.

5.4 შემსრულებლის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის დედანი სავალდებულოა ინახებოდეს შემსრულებელთან და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს მიმღებს.

6. სტანდარტები

6.1 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საერთაშორისოდ აღიარებული და/ან ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებით;
6.2 შემსრულებელი ვალდებულია მიმღების მხრიდან შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს არაჯეროვნად შესრულებული ღონისძიებების ან მისი ნაწილის გამოსწორება მიმღების მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
6.3 შემსრულებლის მიერ 6.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმღებს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები პროგრამის განხორციელებისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და დააკავოს შესაბამისი ხარჯები ხელშეკრულების თანხიდან.

/ვ. კვაშილავა/

/ზ. წურწუმია/

7. ხელშეკრულების ღირებულება

7.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **212,988** (ორას თორმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა რვა) **ლარს** , რომლის პარამეტრები წარმოდგენილია დანართი N6-ში;

7.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე;

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან მიმღებისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

7.4 ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისის ინფორმაცია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი);

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 3-ის შესაბამისად;

8.3 პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების გარდა თანხების სხვა მიზნით გამოყენება (თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში) დაუშვებელია. მკაცრად იკრძალება ნებისმიერი საშუალებით თანხების გადარიცხვა, გადახდა, გადაცემა ან კონვერტაცია:

ა) მესამე მხარესთვის, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროგრამის და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან;

ბ) ღონისძიებებისთვის, რომლებიც პროგრამის უშუალო მხარდაჭერას არ უკავშირდება;

8.4 მიმღები უფლებამოსილია მიმართოს ამ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეზღუდვების გამოყენების უფლებას სახელშეკრულებო თანხების ნებისმიერი ტრანზაქციის შემთხვევაში, რომელიც ამ ხელშეკრულების 1.1.14 ან 8.3 მუხლების პირობების დარღვევით შესრულდება (შემდგომში „არასანქცირებული ტრანზაქცია“);

8.5 შემსრულებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, ფინანსური და სხვა, არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეულ ზარალზე, და უნდა აუნაზღაუროს მიმღებს არასანქცირებული ტრანზაქციით გამოწვეული ზარალის ან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

8.6 შემსრულებელმა ნებისმიერი ფულადი ოპერაცია უნდა განახორციელოს საბანკო გადარიცხვების გზით, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს შემსრულებელთან და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს მიმღებს; ნაღდი ანგარიშსწორება დასაშვებია მხოლოდ მიმღებისგან წინასწარი წერილობითი თანმობის საფუძველზე.

9. გადასახადები

9.1 შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 მიმღების მიერ შესაძლებელია ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ცვლილებები „გლობალური ფონდის“ მოთხოვნების შესაბამისად;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს მიმღები არ არის ვალდებული

/ვ. ცვაშილავა/ /ზ. წურწუმია/

წარუდგინოს შემსრულებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3 ხელშეკრულების დანართ N6 - ში (პროგრამის ბიუჯეტი), ერთი საბიუჯეტო ხაზის ფარგლებში დაფიქსირებული თანხების გადანაწილება, ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების საწვავის საშუალო თვიური ხარჯის გაზრდა ან/და შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებელთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების ცვლილების გარეშე.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 შემსრულებელს არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, აღნიშნული უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული პირობებისა, მიმღები უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები;

13.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მიმღები შემსრულებელს დააკისრებს პირგასამტეხლოს, ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე საანგარიშო თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების (0.1%)-ის ოდენობით.

13.3 შემსრულებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 8.6 პუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებლის მიერ გახარჯული თანხა არ ანაზღაურდება;

13.4 მიმღების მიერ შემსრულებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო არ შეიძლება გადახდილ იქნას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებიდან.

13.5 შემსრულებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გახარჯული თანხა არ ანაზღაურდება;

13.6 შემსრულებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

13.7 მიმღების მიერ შემსრულებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო არ შეიძლება გადახდილ იქნას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხებიდან.

/კ. კვაშილავა/

/ზ. წურწუმია/

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 მიმღებს შემსრულებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეუძლია შეწყვიტოს ან შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არ შეწყდა ან შეჩერდა, ძალაში უნდა დარჩეს;

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

14.3 შეწყვეტის საფუძველია კოორდინატორის/ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირდაპირი ან/და არაპირდაპირი (მათ შორის სამსახურებრივი გულგრილობა მასალების განკარგვისას, მუშაობის შიდა კონტროლის არარსებობა) კავშირი სახარჯი მასალების არამიზნობრივ ხარჯვაზე.

14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული რომელიმე მხარის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დონორის დაფინანსების მკვეთრი შემცირებით ან შეწყვეტით და სხვა;

15.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას;

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

/ პ. ავაშილაია/

/ზ. წურწუმია/

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, მხარეებს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. აუდიტი

17.1 მიმღები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასების და შესაბამისი თანხების ხარჯვის კონტროლის მიზნით უფლებამოსილია განახორციელოს შემსრულებლის და მისი ქვეკონტრაქტორის ფინანსური შემოწმება, ან შეფასება, ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს პროგრამის მსვლელობის დროს;

17.2 შემსრულებელი ვალდებულია აუდიტორულ კომპანიას მიაწოდოს მისი საქმინობისთვის საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ხელი შეუწყოს საქმიანობაში და უზრუნველყოს შესაბამისი პირობებით.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება მიმღებთან;

18.2 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის განხორციელდება წერილობითი ფორმით ქართულ ენაზე.

18.3 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით;

18.4 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;

19.5 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;

18.6 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;

18.7 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

ხელშეკრულების დანართები:

ხელშეკრულების დანართები:

ხელშეკრულებას თან ახლავს დანართები, რომლებიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია:

დანართი N1 ა (შესრულებული სამუშაოების სიტყვიერი ანგარიშის ფორმა);

დანართი N2 (ფორმა N1 - ყოველთვიური ხარჯების ჩამონათვალი, ფორმა N2 - ფინანსური ანგარიში, ფორმა N3ა - სახარჯი მასალების აღრიცხვის ფორმა, ფორმა N3ბ - საწვავის ხარჯვის აღრიცხვის ფორმა, ფორმა N4ა - თანხის მოთხოვნა, ფორმა N4ბ - საწვავის მოთხოვნა, ფორმა N4 - გავრცობილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა);

/ვ. კვაშილავა/

/ზ. წურწუმია/

დანართი N3 (შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი);

დანართი N4 (მიმღების მიერ მომსახურების გასახორციელებლად შემსრულებელზე დროებით სარგებლობაში გადაცემული აქტივების ინვენტარიზაცია);

დანართი N6 (პროგრამის ბიუჯეტი);

დანართი N7 (გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება);

დანართი N8 (პროგრამის განხორციელების გეგმა-გრაფიკი);

დანართი №9 გლობალური ფონდის გრანტების მარეგულირებელი ნორმები (2014);

დანართი N10 (ქცევის კოდექსი გლობალური ფონდის სახსრების რეციპიენტებისთვის). იხ. http://www.theglobalfund.org/en/operational

დანართი N12 (სტანდარტული სააღრიცხვო ფორმების წარმოების მეთოდური სახელმძღვანელო);

დანართი N13 („ზიანის შემცირების პროგრამებში ტუბერკულოზის გამოვლენის მეთოდური სახელმძღვანელო").

/ვ. კვაშილავა/

/ზ. წურწუმია/